



მპროსა და პოლკის უფროსის თ. დომიტრი სულხანის ძის შავჭავჭავაძისა, რომელიც იმ აქტს სამურზაყანოს ხალხსა და ჯარს ერთგულებისა და კარგათ სამსახურისათვის და ბოლოს გამოეთხოვება იმათა და ამბობს:

„მე მიმაქვს თან სასიამოვნო მოგონება სამურზაყანოს ხალხისა და მის გამო სახსოვრად იმ-სა, რომ მე ერთის წლის განმავლობაში განვაგებდი ამ მხრას და როგორც უფროსი იმათი ჯარისა, ეს წირავ სამურზაყანოს ყველა წოდების ხალხისათვის ოცი ათას მანეთს, რომელიც დამინიშნავს სამურზაყანოს საადგილ-მამაშულო ბანკის თავს (სამირა) ფულად. ეს ფული მე გავგზავნე სახელმწიფო ბანკის ოფისის ბანკოთილებში, სადაც შენახული იქნება სანამ ხსენებული ბანკის წესდება არ შესდგება და თვითონ ბანკი არ გაიხსნება სამურზაყანოში.“

„მაცნობებ რა ამას სოხუმის მხარას, წინადადება ვაძლევ ვისაც უიგია, წაიკითხონ ეს ბრძანება სამურზაყანოს ყველა სოფლებში და ამისი პირი დასტოვონ ყველგან.“

შამგებელი სოხუმის მხარისა პოლკოვნიკი თ. შავჭავჭავაძე.

შადვილო არ იქნება, რომ მოვიყვანოთ აქ რამოდენიმე სიტყვა იმ ოქტომბრის კორრესპონდენციებისა, რომელნიც ამ წლის „დროების“ მე-76 და 104 ნომერებში იყვნენ დაბეჭდილნი: „დროების“ № 76-ში ჩვენი კორრესპონდენტი იწერებოდა:

„მარა ამისა არის ერთი საჩუკარი, რომელიც ვნება აგრეთვე ხსენებულ (სამურზაყანოს) მილიციონერებს: რადესაც ისინი გამოყვანათ ომში, სამურზაყანოს პოლკს, მილიციას ჰქონდა გამოცხადება, რომ თითო კაცს ექნება თვეში ოც-და-ხუთი მანეთი ომის დროს; მაგრამ უფროსები აძლევდნენ ზოგჯერ ათას, ზოგჯერ ოცს და ბევრს ერთი კაპიციტ არ მიუღია. მსლა, ეს საჩუკარიც ვაგებინეს უფ. არაიენს, მაგრამ არ ვიცით — რა განკარგულება მოახდინა იმან ამის თაობაზე.“

ამ წლისვე „დროების“ 104 №-ში დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები:

„რევინიორის მოსვლის წინათ პოლკის კამანდირებს სოტნის კამანდირებისათვის მიუყიად დარიგება, რომ თუ იკითხა — რა ეძლევათ, როგორ არიან მილიციონერები, სოტნამ უნდა ვსთქვასო: ჩვენ კმაყოფილი ვართ ჩვენის უფროსებისა და გვაქვს თვეში ჯამაგირათ 10 მანეთი, პარკოანი 3 1/2 მანეთი, თივა 10 1/2 ფუთი და სიმინდი 7 1/2 ფუთი. მილიციონერებმა პირველათ უარი უყვეს. ჩვენ ვიტყვიანთ სიმართლესაო; მაგრამ მერე ისევ დაუთანხმდნენ.“

„როცა მოვიდა რევინიორი, სუყველა სოტნამ როგორც დარიგება ჰქონდათ, ისე მოახსენეს; მხოლოდ ერთმა სოტნამ ვამოიციბადა, ნამდვილი. მაგრამ როდესაც რევინიორი გაისტუმრეს, სოტნას მისცეს საყვედური და მთქმელი პირი წარბაქტში ჩასვეს.“

„მესაჩუკარი და გულნაკლოლება რამოდენიმე პირმა ვააგებინა უფალ არაიენსა ხელ-ახლათა.“

„ახლა პოლკის კამანდირებმა გამოუცხადეს მილიციებს, რომ მათი დაშენილი ფული არის ოცი ათასი მანეთი და თქვენი ვ. ი. მილიციების სასარგებლოთ ბანკში ჩავდევით და ისარგებლებთო!“

„* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ ოთხ-შაბათს, იენისის 7-ს, მესუთე კლასის სამს შავირდს აუღიათ თოფები და სანადიროთ წასულან ქალაქს გარეთ, უ. შმიდტის წისქვილისაკენ, თამამშოვის ბალთან. მსენი ყოფილან შუღინოვი, თამამშევი და ერთი კიდეც სხვა ყმაწვილი.“

ნადირობის დროს უფ. შუღინოვის თოფი, რაღაცა მიხეზის გამო, არ გავარდნილა; ყმაწვილს გადაუბრუნებია თოფი და როცა ჩაუბრავს ლულაში გასაშინჯავთ — გატენილია თუ არაო, ამ დროს გავარდნილა, პირ-და-პირ ხახაში მოხვედრია საფანტები; ყმაწვილი აქვე წაქცეულა და მომკვდარა.

„* ჩვენ შევიტყუეთ, რომ შოთი-თფილისის რკინის გზის ზოგიერთ სტანციებზე ვაჭრობა იმართება გაზეთებისა და წიგნებისა. ამბობენ, შეიღს სტანციასზე — თფილისის, ბორის, მიხაილოვის, ბეჟათუნის, რიონის, სამტრედიისა და შოთის — იქნება დადგმული ამისათვის ცალკე შეაფებიო.“

„* ამას წინათ იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ვიღაც ნემეცი თფილისში (პუკიაში) ქალაქის ქარხანას ხსნისა. ჩვენ გვითხრეს ახლა, რომ ამ ქარხანას უკვე დაუწყია მუშაობა, მხოლოდ ჯერ-ჯერობით მარტო ლურჯ ქალაქს აკეთებენო.“

„* ჩვენ გვარწმუნებენ, რომ დღეს, კვირას, თფილისის მეთამბაქოებს კრება აქეთო, რომელზედაც პირობა უნდა დადგანო ერთმანეთში, რომ თავიანთ ფაბრიკებში უშვებს ჯამაგირი მოულონ და ამას გარდა თუ ერთი რომელიმე ფაბრიკიდან მუშა წაიდა, ის მეორე ფაბრიკამ აღარ მიიღოსო.“

თუმცა ვამბობთ, ჩვენ გვარწმუნებენ-მეთქი, მაგრამ მაინც არ გუჯერა, რომ ეს ამბავი მართალი იყოს.

ამ ნაირი პირობის დადებითა და მოქმედებით, რასაკვირველია, ბევრი მუშა ულუკმო-პუროთ დარჩება, მაგრამ ამით, უეჭველია, მეთამბაქოებიც წააგებენ და თამბაქოს მუშტარიც.

„* მართლიდამ იწერებინ „თფილისის მოამბეში“, რომ წელს იკითკენ ძალიან უხვ მოსავალს მოვლიან. შანები ჩინებული არის და ბევრი ნამუშევარი მოვა წელს ქართლში, თუ ამ ზაფხულ-

ში ცუდმა ტაროსმა-ქარტლელმა ხილი კი სიცივეს დაუტრიალს. ირითიანა

„* იმ პატარა უწესოების თაობაზე, რომელი 4 იენისს მოხდა ბაკურციხეში იმის გარდა, რაც გუშინდელს ჩვენს გაზეთში არ იყო დაბეჭდილი, ჯერ მეტი არაფერი ამბავი მოგვსვლია.“

ძალიან სამწუხაროა, რომ თფილისი-დამ ძახეთში და ძახეთიდან თფილისში მხოლოდ ორჯელ მიდი-მოდის ფოჩტა, შფრო ხშირად რომ მოდიოდეს, მაშინ ჩვენ შეგვეძლო დაწერილებითი ამბები გვეცნობებინა საზოგადოებისათვის ამ რემოების შესახებ.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავში, 3 იენისს. შოველი პატიოსანი და ცოტათ თუ დიდათ განათლებული კაცი დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ მოვლენას, რომელიც დიდხანს არ არის, რაც ჩვენში შემოდიო. ეს მოვლენა არის სასოფლო შკოლების ჩვენში და საზოგადოთ მიჯვასიაში გახშირება.

თუმცა ამ მოვლენამ ჩვენში როგორც დაიგვიანა, მაგრამ ესეც საზოგადოთ ჯერ-ჯერობით ისე მიდის სასოფლო შკოლების საქმე, თითქმამო ჩვენში ჯერ კიდევ არა ჰქონდათ დროცო, ჯერ ჩვენ არ შეგვიძლიანო იმის ჯეროვან გაზხედ დაყენება. რაღაცა გულგრილობით და „აზიური უზრუნველობით“ უყურებს ჩვენი საზოგადოება ამ საქმეს, რომელზედაც ოტათ-თუ ბევრათ დამოკიდებული ჩვენი მდებალი და აქედან მ.ღალი ხალხის კეთილდღეობა.

მისაც კი ცოტად მაინც უღვენებია თვალი ჩვენ გაზეთებში სასოფლო შკოლებისთვის, კარგად იცის, რომ ისინი ვერ მიდიან წესიერ.დ. ხშირად ისმის სხვა-და-სხვა ჩვენი ქვეყნის ადგილებიდან, რომ ესა და ეს შკოლის ზედამხედველი და მასწავლებელი ვერ იქცევა რიგიანათაო, არ იცის თავისი ხელოვნებაო და იმიტომ ვერ მიჰყავსო თავისი საქმე წესიერათაო.

ღიან. ჩვენ საზოგადოთ არა გვეყანან სასოფლო შკოლებში დახელოვნებულნი და გამოცდილნი ზედამხედველნი და მასწავლებელნი; ბევრმა ამათგანმა არ იცის, თუ რა წმინდა მოვალეობაა ის, რომელიც მას უკისრნია, და თუ კიდევ ცოტათი კარგათ საქმის წყყანაც შეუძლიან, თავს არ იწუხებს.

ეს ხომ ესეა, მაგრამ მარტო მასწავლებელნი, ხომ არ არიან დამნაშავენი სასოფლო შკოლების ურიგობისა; სხვა მიხეზებიც ბევრი არის, თუმცა კი ესენი ისეთნი არიან, რომ იმათი გასწორება ეხლა ჩვენთვის თითქმის სრულიად შეუძლებელია; იმათ უნდათ დრო და ყამი. ამიტომ ჩვენ ჯერ-ჯერობით მარტო იმას უნდა ვეცადნეთ, რა რაც



შეიძლება ხეირიანი მასწავლებელი და ნიშნონ სოფლის შკოლებში.

შხირად ისმის და, როგორც მეც ჩემი თვლით დავრწმუნდი, მართალია, რომ გლეხი ხალხი გულგრილად და უნდობრათ ეჭიდება შკოლების დამართვას და იმათ გაუმჯობესებას. იმ სოფლებშიაც კი ამბობენ, სადაც რამდენიმე წელიწადია რაც შკოლა გამართულია და სწავლა შედარებით კარგათ მიდის, იქაც კი ბევრს ხალხს არა ჰსურსო ისა. მაშ თუ ეს ეგრეა, იმ სოფლებში, სადაც უტიფოთ მიდის შკოლის საქმე, როგორღა უნდა უყურებდეს დაღარიბებული გლეხი ხალხი? ან კიდევ იქ, სადაც ესხლა იხსნება შკოლა, საცა აქამდინ არა ჰქონიათ და არ უნახავთ იმის სარგებლობა, საცა ემატებათ სიღარიბე. აქ როგორღა ეჭვით და უნდობრათ უნდა მოეკიდნენ ამ წმინდა საქმეს?

აა ერთი ამ გვარი მაგალითი: ბაიგებდით სოფელს ძონდოლში (თელავის მაზრაშია) მგონია ამ წლის თებერვალში გაიხსნა სასოფლო შკოლა. იქ პირველად შკოლის განსნის დროს, როცა პარაკლისი გადაიხადეს შკოლის სასახლეში და როცა იქ მდგომმა მაზრის უფროსმა გამოუცხადა შეგროვილს მთელ ძონდოლის საზოგადოებას შკოლის დაწყება და ამ ნაირათვე წარუდგინა იმას მასწავლებელი, იმ დროს ხალხიდან წარდგა მაზრის უფროსის წინ ერთი დროული და, იქნება კიდევ სოფელში პატივცემული, ცალთვალი გლეხი და გაბედვით ხმა-მაღლა მოახსენა:

„ბატონო, შენი ჭირიმე, სიღარიბით, ვაწყალდით, შენი ჭირიმე...“

... „რას ლაპარაკობ, შე ბრუტიანო?“ — შარძანა მაზრის უფროსმა და ჰსურდა მაშინვე გაეწყვეტინებინა ხმა, რომ იმას წინააღმდეგი და შკოლის მანებელი არა ეთქო-რა; მაგრამ ერთი კიდევ წამოიძახა ხმა მაღლა:

„ბატონო, მე ხო მარტო არ ვამობ, ხალხმა მთხოვა!“

ამავე დროს იქ მდგომმა ახალგაზდა გლეხმა დაურთო:

„ჰო, ბატონო, მართალს მოგახსენებ.“

ამასაც გააკმენდინეს ხმა.

აბა წარმოიდგინეთ, რა გავლენას მოახდენდა ეს შემთხვევა მთელ სოფლის საზოგადოებაზე და უფრო იმ მომეტებულ ხალხის ნაწილზე, რომელიც ამ ორ პირში ამნაირათ დაისაჯა.

— მას-აქეთ ხმა-მაღლა არა მესმის რა ს. ძონდოლში ამ შკოლაზედ საჩივარიო, მითხრა ამ ამბის გადმომცემმა; ხოლოთ ის კი ვიციო, რომ როდესაც ამ შკოლის ფული უნდა გაეწერათ ხალხზედ, თორმეტი ხარჯის გაწერი კაცები ამაზედ უარს ამბობდნენო, ჩვენ ხალხს არა ჰსურსო და ჩვენ როგორ უღალატოთო ჩვენ ამომპრჩევლებს და სხვ.

სწორეთ ამნაირივე გარემოების მიზეზით დაიგვიანა სოფ. ტისირხევში შკოლის გახსნამა, საცა იმავე დროს უნ-

და გამართულიყო, როდესაც ს. ძონდოლში.

ამ გვარივე ამბავი ისმის სოფელ რუის-პირიდგან. და რა მარტო ამ შემოხსენებულს სოფლებში, — ყველგან, საცა პირველათ იმართება სასოფლო შკოლა, მრავალი მიზეზების გამო თითქმის არც კი შეიძლება, რომ გლეხი ხალხი ერთგულათ მოეკიდნენ ამ წმინდა საქმეს. მე ვამბობ ამას საზოგადოდ მთელ სოფლის ხალხზე და არა იმ ცოტა ნაწილზე სოფლის საზოგადოებისა, რომელთაც ჰსურთ ამ კეთილის საქმის კეთილი წარმატება და რამდენიც შეიძლება თითქმის ყველა სოფელში იპოვოთ.

აქედგან ცხადია ის დიდი სიმძიმე იმ მოვალეობისა, რომელიც უნდა მიიღოს სოფლის მასწავლებელმა თავზე. იმან უნდა ყველა პატიოსანი ღონის-ძიება იხმაროს, რომ ცხადად, თვლით დაინახოს და გააგებინოს ხალხს დიდი სარგებლობა შკოლისა და ამასთანავე იქონიოს მათზედ გავლენა თავისი წმინდა ყოფა-ქცევისა იმათში ცხოვრებით, რომ სოფელმაც თავისი მხრით, როგორც შეეფერება, ყოველი ღონის-ძიება იხმაროს თავისი შკოლის კეთილ-დღეობისთვის. ამნაირად მარტო მაშინ წავა სოფლის შკოლის საქმე წესიერად, როცა ორნივე — მასწავლებელიც და საზოგადოებაც ერთათ ცდილობენ შკოლის გაუმჯობესებას. ეს ხომ ცხადია; მაგრამ ჩვენში კი საზოგადოდ არც მასწავლებლები გვეყავს ამნაირნი და არც თითონ სოფლის საზოგადოება ასეთი.

საბუელი

ნიჩბისილამ, 30 მაისს. ძნის სტანციის პირ-და-პირ იყო გაკეთებული პარომი, რომელიც შეაერთებდა ნიჩბისის ხეობასა, ძეგვისა და ძაფთის-ხევისა რკინის გზასთან. ეს პარომი იყო სასხორის მებატონისა უ. ალექსანდრე ივანეს ძის მელიქოვისა, და მუშაობდა 1862 წლიდან ვიდრე აქამომდე.

თუმცა ამოდენს ხანს მუშაობაში შეხვედრია ამ პარომს უბედურება; მაგრამ ამისთანა უბედურება, როგორც მოხდა ამ ოც-და-ხუთს ძაისს (ამაღლება დღეს), არაოდეს არ მომხდარა ამ პარომის მუშაობაში:

ხენებულ დღეს ნიჩბისის მებატონეთ. ღვეით ივანეს ძე სიციშვილი მიდიოდა ს. მცხეთას თავისი ქალით, რომელიც მიჰყავდა დედათ-მონასტრის სასწავლებელში. როგორც მივიდნენ შუა მტკვარში, ამ დროს აგლიჯა ქაზრაკის ხეები და წაიღო პარომი ზედა-მსხდომი ღვეით სიციშვილით და ამისი ქალით; ამათ გარდა იყვნენ ზედ ორნი მებატონენი და ორი იმერელი. პარომი მიახეთქა ერთ საშინელს კლდეს და ჩავარდა წყალში თავადი ღვეით სიციშვილი.

იმერელმა იხმარა მაშინვე სიციშვილი და გადაყარა თოკები და ჩანჯლები წყალში; ეგება მოხედეს როგორმე და უშველოთ-ვო. ხუთი მინუტის განმავლობაში უკანვე გამოსწია. მრთი რომ გამოსწია, რაკი სუმბუქი იყო, თავი დაანება და მეორეს მივარდა, რადგან ეს მძიმელ ეჩვენა; მაშინვე ძალ-და-ძალ ამოსწია და ჩვენი სიციშვილიც დაინახა ზედ მომპული. მაშინვე ხმა მისცა, მიშველეთო, და მიეშველნენ მებატონეებიც და ამოიყვანეს.

მარეთ მოარჩინა მებატონე ამ იმერელმა. ეს არაფერი; მარდალია, თუმცა მოარჩინა წყალში დახრჩობას, მაგრამ მაინც კიდევ წყალში არიან და მიაქვს პარომი მსხდომებითურთ.

ხსენებული იმერელი მივარდა მაშინვე და დაუწყეს ორთაყვირის მოსმა სიჩქარით, და იმოტენა ეცადნენ, რომ მიატანეს ერთ ქალაში, ნაპირზე; მაშინვე გადმოახტუნა მებატონეები და თითონაც და დაუწყეს წვევა პარომს და დაიჭირეს და დააბეს აქ. მადმობტნენ ზედა-მჯდომი თ. ღვეით სიციშვილი და იმერელი; ქალი კი, როგორათაც სუსტი და შაშინებული, თუმცა გადმოხტა, მარა ისევე ღრმა წყალში ჩავარდა და დაიყვირა „მამავე, მიშველეთო!“ მამა შეეშველა; თურმე ჩავარდა ესეც და იხრჩობოდნენ ორნივე. ამ დროს იძრო ტანისამოსი ისევე იმ იმერელმა, რომელიმაც წინ-და-წინ მოარჩინა და გამოიყვანა ორნივე მშვიდობით.

აქ კიდევ იმისთანა ალაგას არიან, რომ სწორეთ შუაზეა გაყოფილი მტკვარი; ცხენი ვერ იმუშავებს და ურემი. თუმცა ძეგვის მხარეს ნაპირზე ხალხი ბევრია, მაგრამ ამათთვის მშვეტლენი არავენ არის. იმერელმა გაცურა გაღმა სტანციისაკენ და შეატყობინა გზის მუშებს ვინც დახვდნენ და ოცამდი კაცი, მოიყვანა, წამოიღო, გამოიტანა თოკი შეება პარომს და ისე გაიტანა პარომი; გაიყვანა და მოარჩინა ეს ხუთი სული.

ამ შემთხვევის შემდეგ მაინც, იმედია, ვისიც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევს ამ პარომს, რომელზედაც მუდამ დიდძალი ხალხი დაიარება და შეიძლება უბედურება მოხდეს.

ნიჩბისელი

ოქმის აზვავი

ქონარმსნი

„Indép. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეკრეტი 2 ივნისს ბერლინიდამ მიღებული:

„ამბობენ, ინგლისი მაინცა-და-მაინც არ დაიჭერს რუმინის მხარეს და ბესსა-

რადიის შეერთების თაობაზე წინააღმდეგობას არ გაუწევს რუსეთსაო. ინგლისი თხოულობს, რომ ძანდიის კუნძული საბერძნეთს მიეცეს.

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებია ბერლინიდან:

„რუსეთის, ინგლისის და ავსტრიის წარმომადგენელთ თითქმის დღე და ღამე მოლაპარაკება ავტო ერთმანეთში და ცდილობენ საბაძო საგნებში მოთავსდნენ. ღარწმუნებით ამბობენ, რომ ინგლისიც თანახმა არისო, რომ მორიგებით და მშვიდობიანათ გათავდეს საქვეო.

„ყველა წარმომადგენლები მეროპის ექვსივე სახელმწიფოსა დარჩებიან ბერლინიში კონგრესის გათავებამდინ, გარდა თ. ბორჩაიკივისა, როელიც ორი კვირის შემდეგ ისევ პეტერბურღში დაბრუნდება.“

მენის გაზეთის „პრესის“ ბერლინელი კორრესპონდენტი გვარწმუნებს, რომ კონგრესმა ყველა უმთავრესი საგნები გადაწყვიტაო; სხვათა შორის იმან მოსპო აგრეთვე კონტრიბუციის თაობაზედ რუსეთსა და ოსმალეთს შუა ჩამოვარდნილი უთანხმოებაო.

ჩვენი კარგი ნაცნობი კორრესპონდენტი პარიჟის გაზეთის „Temps“-ისა უფ. ძუტული ამ გაზეთს ბერლინიში გაუზნენია ახლა თავის სპეციალურ კორრესპონდენტად კონგრესის ამგების ასაწერად.

განსხვავებანი

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა „მული, რძალი და მავნიკაში“ სამ-მოქმედებიანი ღრამმა ალ. ა. თუთაივისა

თვილისის ძალაჟის გაგზომისაგან თვილისის ძალაჟის გაგზომა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით ამ იენისის 16-სათვის დანიშნულია მავრობა გასასყიდლად საძალაჟო მიწისა, რომელიც მდებარეობს ძახეთის გზაზე, მე-2 განყოფილების მე-15 უჩასტკაში და შეიცავს 251 ოთხ-კუთხ საჟენს ადგილს, გამოსადგვს შენობის გასაკეთებლად.

(3-2)

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი. შედგენილი კნზ ბარ. ჯორჯაძისაგან. ჟასი ათი ჟაური.

(4-2)

კირი

ბასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ძუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა მ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია, სახლის № 44.

(3-3)

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: თფილისში — მართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ძუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

რძ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	მაზანდა	მან კაპ	თფილისის სამაჟრნალო
თფილისი	9 21	5 18			მცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 9 იენის.		მრეწვის მედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	- 68 -	38	შუთაისს, შოთს	1	შქე. თფი. ბანჯისა, ფო.	1 40	ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი	1 20	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. : შიუჩარიანიც — სი.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურგს, შარშავას	2	შერი ფუთი	1 15	რურგი, მარალევიჩი — შინაგ. ავათმყოფ.
სურამი	1 44		4 42	2 46	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბაბა მრეწვისა, ფუთი	7 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს : შერმიშევი შინაგ.
შვირილა	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	— ამერიკისა, ფუთი	8 30	ავთმყოფობის, რეიბი და ბახუტონი — ბებიობის თვალის.
რიონი	6 57		6 75	3 75	ინგლისში	3 75	ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს : შერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ფო. შა		მატყული თუშური ფო.	6 50	ბაკტი — გულის და ნერვების ავათმყოფ.
ახ.-სენაკი	8 43		8 57	4 76	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		— თარაქამისა ფო.	4 50	ს ხ თ შ ა ბ ა თ ს : შერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ.
შოთი	9 50		9 75	5 42	მ. შურ. — შარასკ. და ორშ. ძახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ძუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურგეთს — ორშ. და შარასკ.		აბრეშუმი ნუხური ხტ.	2	და მობრეტი — კბილის.
							შონი, ფუთი	6 50	პ არ ა ს კ ე ვ ს : შერმიშევი — შინაგ. ავათმყოფ.
							შონის სანთელი ფუთი.	8	შ ა ბ ა თ ს : შერმიშევი შინაგანი ავათმყოფ.
							სტეარინის სანთელი, ფ.	12 70	მყვობის, რეიბი — თვალის ავათმყოფ.
							ხორცი ძროხისა, ლიტ.	99	და მობრეტი — კბილის.
							— ცხვისა, ლიტრა	99	პ არ ა ს კ ე ვ ს : შერმიშევი — შინაგ. ავათმყოფ.
							სპირტი, ვედრო	5 20	შ ა ბ ა თ ს : შერმიშევი შინაგანი ავათმყოფ.
							შაქარი, ბროც. ფუთი	7 80	მყვობის, რეიბი — თვალის ავათმყოფ.
							— ფხვნილი ფუთი	6 20	და ბაკტი — გულის და ნერვების.
							შავა გრგვალი, გირგ.	70	
							ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	
							თამბაქო, საშუალო ფუთი	8 50	